Georgische Zeitung „SAKARTHWELO“

საქართველო

№ 17 (94) გამოც. მე-3 წელი. ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი ბერლინი, 24 აპრილი, 1944 წ.

წარსულის სამარცხვინო ნაშთი

თვითეულმა ჩვენგანმა გამოსცადა ბოლშევიკური რეჟიმის სატანური საშინელებანი.ამ მზაკვრულ და სისხლიან ლაბირინთში იხშობოდა საბჭოთა ხალხის სული, შემოქმედება. „მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულმა წყობილებამ“, საბჭოთა სისტემამ, გამანადგურებელი იერიში მიიტანა ადამიანზე, დასცა და გაათახსირა იგი. ადამიანი-შემოქმედი, საზოგადოების აქტიური წევრი, ბოლშევიკებმა მონად გადააქციეს და მთლიანად ჩამოაცალეს მას ადამიანური ღირსება.

ბოლშევიკური რეჟიმი მრავალი ხერხით მიუდგა ხალხის შებოჭვასა და დათრგუნვას. კომუნისტური აღზრდის ლოზუნგით, ადამიანის ღირსების ეს გამთახსირებლები შეიჭრნენ ხალხში და ცეცხლითა და მახვილით სთესდნენ ურთიერთსიძულვილს, შურისძიებას. ბოლშევიკებმა ამ აღზრდისათვის შექმნეს სპეციალური ორგანოები, რომელთა სახელის გაგონებაც კი თავზარსა სცემდა ისედაც დაბეჩავებულ ხალხს.

საზეიმო დღეებში ტრანსპარანტებზე ბოლშევიკები თეთრი ასოებით გამოაკრავდნენ ხოლმე ლოზუნგებს: „ადამიანი — ეს სიტყვა ამაყად გაისმის საბჭოთა კავშირში“, „როცა საამურად სცხოვრობ, მუშაობაც ხალისიანად მიდის“ და ეს მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის შორეული ოლქები დაქსელილი იყო ნაცრისფერი საკონცენტრაციო ბანაკებით,სადაც მილიონობით ადამიანები კატორღულ შრომაში ათავებდნენ ტანჯულ ცხოვრებას, ციმბირისა და შორეული თურქესტანის ყინულოვანი ველები და უდაბნოები მოფენილია საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა ძვლებით... შინსახკომის ჯოჯოხეთურ სარდაფებში იტანჯებოდნენ და ნადგურდებოდნენ ჩვენი მამები, ძმები, დედები, ათასეულობით გლეხებს მიერეკებოდნენ ციმბირში, რადგან მათ არ სურდათ მონური საკოლმეურნეო შრომა. „ხალხის მტრობის“ მარკით შინსახკომის რევოლვერიანმა აგენტებმა სისხლის ტბორები დააყენეს, დღითა და ღამით ოჯახებიდან გამოჰყავდათ მამაკაცები, ქალები, მოხუცები, ახალგაზრდები, მიჰყავდათ და სამუდამოდ ჰკარგავდნენ.

ბოლშევიზმმა გარდაქმნა, გადაამუშავა და სულერთიანად მოსწამლა ადამიანის სული. უნდობლობა, პროვოკაცია და, რაც მთავარია, დაბეზღების სისტემა გახდა საბჭოთა რეჟიმის სახელდახელო მეთოდი. ყველგან, სადაც კი სამი-ოთხი კაცი იდგა, იყო უნდობლობის ატმოსფერო, თვითეული მათგანი ჰფიქრობდა, რომ მათგან რომელიმე იყო შინსახკომის აგენტი. ყოფილა შემთხვევები, როცა კომკავშირული ორგანიზაციის მეშვეობით შინსახკომმა ოჯახშიც შეჰყო თავისი ბინძური დინგი და შვილი მიუჩინა მამას აგენტად. საბჭოთა დაწესებულებაში, გარდა ოფიციალური ეგრეთწოდებული განსაკუთრებული განყოფილებებისა, მრავლად იყვნენ ქალები და მამაკაცები, რომლებიც შინსახკომის აგენტურას წარმოადგენდნენ.

დაბეზღება და პროვოკაცია ყველაზე გავრცელებული საქმე იყო საბჭოთა კავშირში. შინსახკომის უფროსების, გამომძიებლების, რაიკომის მდივნების უჯრებში დასტობით და თაბახობით შედიოდა დაბეზღებები, რომელთა შედეგადაც, სრულიად გამოუძიებლად, მასობრივად სპობდნენ ხალხს, ჯაშუშები და აგენტები კი ალმატებას ღებულობდნენ. საჯაშუშო ქსელი წითელ არმიაშიც იმდენად გაიზარდა, რომ სამ წითელარმიელზე მოდის ერთი ჯაშუში, რომელსაც კიდევ მიჩენილი ჰყავს მეთვალყურე, შინსახკომის საიდუმლო უჯრედები, განსაკუთრებული განყოფილებები — და კიდევ მთელი რიგი მზაკვრული ორგანოები...

დაბეზღება და ცილისწამება გახდა ჩვეულებრივ მოვლენად, იგი, როგორც ავადმყოფობა, მოედო საბჭოთა ხალხს და შინსახკომის მარწუხებს ქვეშ გადაიქცა ხალხის დამთრგუნველ, გამანადგურებელ ძალად.

ამ რამდენიმე წლის წინათ მოხალისეთა ერთერთი ათასეულის მებრძოლთა წინაშე სიტყვით გამოვიდა მოხალისეთა ჯარების გენერალი, კავალერიის გენერალი კესტრინგი. მან მრავალი შესანიშნავი დარიგება და განმარტება მისცა მოხალისეებს. გენერალი განსაკუთრებით შეჩერდა საბჭოთა წყობილების ყველაზე უფრო საშინელსა და დამახასიათებელ მოვლენაზე — დაბეზღებაზე და ჯაშუშობაზე. მან მრავალი საინტერესო მაგალითი მოიყვანა საბჭოთა ხალხის ცხოვრებიდან.

გენერალმა სავსებით სწორად და სამართლიანად აღნიშნა, რომ ზოგიერთი მოხალისე ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ამ საშინელი სენისაგან. ზოგიერთ მათგანს დაკარგული აქვს უნარი გაარჩიოს სამსახურებრივი დასმენა დაბეზღებისაგან. ხშირად ნაწილებში მოხალისეები ხვდებიან ბოროტმოქმედებას, მაგრამ ეშინიათ გადასცენ თავიანთ უფროსებს, რადგან ფიქრობენ, ეს იგივე დაბეზღებაა. უფრო ხშირად ბევრნი სრულიად შეუმოწმებლად, ეყრდნობიან რა ცილისწამებას, აბეზღებენ ამხანაგს. გენერალმა სასტიკად დაჰგმო ეს მოვლენა, იგი „უმთავრესად შედეგია მდაბალი პატივმოყვარეობისა. ასეთი დამბეზღებლები მეტ წილად წარმოადგენენ შინსახკომის აგენტებს, მათი მიზანია ჩირქი მოსცხონ პატიოსანი ადამიანების ღირსებას და მათ წინააღმდეგ უნდობლობა დასთესონ“.

მოხალისეთა ცალკეულ ნაწილებში, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა პროვოკატორობისა და დაბეზღების მაგალითებს, რომელიც წააგავდა საბჭოთა საზიზღარ მეთოდებს; ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ჩვენს რიგებში უნდობლობის დანერგვასა და განხეთქილებას, მებრძოლი რაზმების გახრწნას. გენერალმა კატეგორიულად მიუთითა ამ უსაზიზღრესი საბჭოთა ნარჩენის დაუყოვნებლივ ამოფხვრაზე და სათანადო განკარგულება გასცა მის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისათვის. დასასრულ, გენერალმა გამოსთქვა რწმენა და დაგვისახა სამოქმედო პროგრამა: „მე მოველი, — სთქვა მან, — რომ მომავალში დაბეზღებები შეწყდება. საჭიროა ყველა ლეგიონერს ენერგიულად შთავაგონოთ, რომ დაბეზღება დაუშვებელია“.

ყველა დანაშაული, რომელიც კი ნაწილში ხდება უნდა ეცნობოს უფროსს, ეს არის ჯარისკაცის წმინდა მოვალეობა. დაბეზღება და ცილისწამება ყველაზე ბინძური და უსაზიზღრესი საქმეა, რომლის ჩამდენი აუცილებლად უნდა დაისაჯოს.

გენერლის სიტყვიდან ეხლავე უნდა გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები. მთელი ჩვენი ძალა და ენერგია უნდა მოვახმაროთ ამ საშინელი სენის დაუყოვნებლივი აღმოფხვრის საქმეს. აღვუდგინოთ თვითეულ მოხალისეს თავისთავისადმი ნდობა, თავისი მოვალეობის შეგნება, დაუნდობლად ვამჟღავნოთ ყველა დამბეზღებელი, გავაშიშვლოთ მათი სამარცხვინო სახე მოხალისეთა წინაშე. ეს საქმე ერთობ სერიოზულია, მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მებრძოლი რიგების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის. ამიტომ მის აღმოსაფხვრელად ერთსულოვნად უნდა იბრძოლოს როგორც ოფიცრობამ, უმცროსმა მეთაურობამ, ისე თვითეულმა მოხალისემ.

მოღალატის კარიერის დასასრული

იტალიის ყოფილმა მეფემ ვიქტორ-ემანუილმა რადიოთი გამოაცხადა, რომ მან თავისი ვაჟი უმბერტო იტალიის რეგენტად დანიშნა. ეს დანიშვნა შედის ძალაში მხოლოდ იმ მომენტიდან, „როდესაც მოკავშირენი შევლენ რომში“. ვიქტორ-ემანუილი ამტკიცებს, რომ იგი შორდება პოლიტიკურ საქმიანობას საკუთარი ინიციატივით და ამით ანხორციელებს იმ წინადადებას, რომელიც მან მოკავშირეებს მისცა.

ნამდვილად კი გასაგებია, რომ ვიქტორ-ემანუილის წასვლა გამოწვეულია სრულიად სხვა მიზეზებით. მას შემდეგ, რაც ყოფილმა მეფემ გაჰყიდა თავისი ხალხი და მისი ბედი ინგლის-ამერიკელებს ჩაუგდო ხელში, მას სხვა არაფერი აღარ დარჩა, გარდა იმისა, რომ გადამდგარიყო.

დასავლეთის ჯარების მთავარსარდალი, გენერალ-ფელდმარშალი **ფონ რუნდშტედტი** ათვალიერებს ატლანტიკის სიმაგრეს.

ღერძის სახელმწიფოთა კონფერენცია ტოკიოში

საერთო სამხედრო ხელმძღვანელობა საბოლოო გამარჯვებამდე

ტოკიოში, იაპონიის მინისტრ-პრეზიდენტ გენერალ ტოიოსთან შესდგა ღერძის სამი სახელმწიფოს ტექნიკური კომისიის სხდომა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა აგრეთვე სამხედრო კომისია. თათბირებში მონაწილეობა მიიღეს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. შიგემიცუმ, დიდი გერმანიის ელჩმა გ. შტამერმა, რესპუბლიკურ-ფაშისტური იტალიის საქმეთა რწმუნებულმა ო. პრინციპინიმ და აგრეთვე მრავალმა სამხედრო ექსპერტმა.

თათბირის დიდი მნიშვნელობის გამო, მას ესწრებოდნენ პრემიერ-მინისტრი ტოიო და იაპონიის სამხედრო მინისტრი, ადმირალი ს. შიმადა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს მონაწილეებმა გამოსთქვეს თავიანთი შეხედულებანი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რათა მიღწეულ იქნას საბოლოო გამარჯვება იაპონიის, გერმანიის, იტალიისა და მათი მოკავშირეების საერთო სამხედრო ძალით. თათბირის შედეგად მიღწეულ იქნა ყველა გამოთქმულ აზრთა ერთიანობა.

ტექნიკური კომისიის სხდომის დაწყებისას მინისტრ-პრეზიდენტმა გენერალმა ტოიომ გააკეთა სამხედრო მდგომარეობის მიმოხილვა. ინგლისი და ამერიკა, — განაცხადა ტოიომ, — რომელთაც ომის დასაწყისში განიცადეს დიდი მარცხი, უკანასკნელი წლის განმავლობაში შეეცადნენ დაეწყოთ შემოტევა აღმოსავლეთით და დასავლეთით ღერძის სახელმწიფოების წინააღმდეგ, მათი სამფლობელოების უკიდურეს პუნქტებზე. მაგრამ, ინგლის-ამერიკელებმა ვერ შესძლეს ოდნავ მაინც შეერყიათ ღერძის სახელმწიფოთა მტკიცე მდგომარეობა. პირიქით, რწმენა საბოლოო გამარჯვებაში დღითიდღე მტკიცდება. ახსენარა, ინგლის-ამერიკელების მუქარა — შექმნან ევროპაში მეორე ფრონტი, გენერალმა ტოიომ გამოსთქვა რწმენა, რომ გერმანიის არმია შესძლებს არამარტო უკუაგდოს ეს თავდასხმა, არამედ მიაყენებს ინგლის-ამერიკელთა არმიებს გამანადგურებელ დარტყმას, რომელიც დააჩქარებს ღერძის სახელმწიფოების საბოლოო გამარჯვებას.

რაც შეეხება მდგომარეობას აღმოსავლეთ აზიაში, — განაგრძობს ტოიო, — იაპონიის პოზიციები სულ უფროდაუფრო მტკიცდება, აღმოსავლეთი აზიის ხალხების თანამშრომლობის მეშვეობით და იმ ნედლეულის პროგრესული გამოყენებით, რომელიც აქ მოიპოვება. იაპონიის არმია, ინდოეთის ეროვნული არმიის მხარდაჭერით, უკვე შევიდა ინდოეთში და მოიპოვა იქ მთელირიგი გამარჯვებები.

გერმანიის ელჩმა გ. შტამერმა თავის სიტყვაში დაახასიათა პოლიტიკური მდგომარეობა. გამარჯვების ძირითად წინაპირობას წარმოადგენს ღერძის ყველა სახელმწიფოთა მტკიცე თანამშრომლობა. მოწინააღმდეგის ყველა ცდა, მუქარისა და ყალბი დაპირებების საშუალებით შეერყია ღერძის სახელმწიფოთა კავშირი, მარცხით დამთავრდა. გერმანიის ევროპელი მოკავშირეები მიხვდნენ, რომ მხოლოდ გერმანიასთან საერთო მოქმედებით შეუძლიათ წინაღუდგნენ ინგლის-ამერიკელთა სურვილს მათი მოსპობის შესახებ.

უკანასკნელი კვირების განმავლობაში გერმანიამ ხელახლა დაამტკიცა, რომ იგი მოწოდებულია დაიცვას ევროპის ერები ბოლშევიზმისაგან. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ რიბენტროპმა, ამ დღეებში განაცხადა, რომ გერმანია დნესტრზე იცავს ევროპას და გერმანელი ჯარისკაცი ისევე ფანატიკურად იცავს რუმინეთს, როგორც თავის საკუთარ სამშობლოს.

მდგომარეობის საერთო განხილვას, — დაამთავრა თავისი სიტყვა გერმანიის ელჩმა, — მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ევროპის სახელმწიფოები იმყოფებიან ომის გადამწყვეტი მომენტის წინ. ღერძის სამი სახელმწიფოს კავშირით გაერთიანებული ხალხები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ გამარჯვება ღერძის სახელმწიფოთა მხარეზე იქნება.

ბრძოლები ინდოეთში

„დომეის“ სააგენტო იტყობინება, რომ იაპონიის ჯარების ავანგარდებმა, რომელნიც კოჰიმას შემდეგ უტევენ იმფალისა და ქალაქ მანიპურის მიმართულებით, მიაღწიეს მანიპურის დაცვისათვის წინწამოწეულ დასაყრდენ პუნქტს ტიშინს და აიღეს იგი. ამ სტრატეგიული მნიშვნელობის მაღლობის დაკავების შემდეგ, იაპონელებმა დაიწყეს ბრიტანეთის დივიზიის მე-33 არიერგარდის იერიში. არიერგარდი ვიწრო ხეობით სწრაფად იხევს უკან.

გარდა ამისა, იაპონელებმა დაიკავეს მაო მორონი. ეხლა მათ უკავიათ გაბატონებული მდგომარეობა მანიპურის მთელ ხეობაზე.

ქართული საკავშირო შტაბის წარმომადგენელი ესაუბრება რუმინელ ჟურნალისტს საქართველოს შესახებ.

მდგომარეობა ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთ ნაწილში მძაფრი ბრძოლა გრძელდება. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის 18 აპრილის კომუნიკე გადმოგვცემს იმ გმირული და თავგანწირული ბრძოლის დასასრულის შესახებ, რომელსაც ქ. ტარნოპოლში გამაგრებული გერმანული ჯარი აწარმოებდა 23 დღის განმავლობაში. ტარნოპოლის მამაცი გარნიზონი ებრძოდა ათჯერ უფრო მეტი რაოდენობის მტრის ძალებს, რომლებიც ქალაქს გარსერტყნენ. მხოლოდ საჭურვლისა და წყლის მარაგის ამოწურვის შემდეგ გაიცა ბრძანება ქალაქის დატოვებისა და მტრის რკალის გარღვევის შესახებ, რომელიც გერმანელმა ჯარისკაცებმა ბრწყინვალედ შეასრულეს.

ტარნოპოლის გარნიზონის გმირულ ბრძოლას ხელმძღვანელობდა გენერალ-მაიორი ფონ ნაინდორფი, რომელიც თვით დაეცა ბრძოლის ველზე ქალაქის დაცლის წინა დღეს. ადოლფ ჰიტლერმა გენერალ-მაიორ ფონ ნაინდორფის დამსახურება განსაკუთრებით აღნიშნა და მიანიჭა მას სათანადო სამხედრო ჯილდო.

ყირიმის ნახევარკუნძულზე გრძელდება მტრის ჯარების ნელი წინსვლა. ბოლშევიკები განიცდიან აურაცხელ ზარალს. ფეოდოსიისა და სიმფეროპოლის დატოვების შემდეგ გერმანელთა თავდაცვის მთავარი ხაზი გადატანილია სევასტოპოლის რაიონში, რომელსაც მტრის დიდი ძალები უშედეგოდ აწყდებიან.

19 აპრილის ცნობებით, ბოლშევიკების მრავალი ძლიერი იერიში როგორც დნესტრის ქვემოდინებაზე, ისე ქ. იასის ჩრდილოეთით უკუგდებულ იქნა. აღმოსავლეთ ბუკოვინაში რუმინული ჯარები ადვილად სწმენდდნენ მტრის ძალებისაგან წინადღით აღებულ ადგილებს.

კარპატებსა და სტანისლავს შორის გერმანული და უნგრული ჯარები წარმატებით აწარმოებენ შეტევებს. უნგრულმა ჯარებმა აიღეს ქ. ნადვორნა. დნესტრის სამხრეთით გერმანულმა შენაერთებმა მედგარი შეტევით კვლავ უკუაგდეს საბჭოთა ჯარები.

სამხრეთ იტალიაში, ნეტუნოს რაიონში და ადრიატიკის ზღვის ნაპირის სამხრეთით მტრის შემოტევები უკუგდებულ იქნა მისთვის დიდი დანაკარგით.

18 აპრილს დღისით, ჩრდილო ამერიკელთა ბომბდამშენების მსხვილმა შენაერთებმა მოაღწიეს ბერლინის არემდე. მიუხედავად იმისა, რომ მტრის ბომბდამშენებს იცავდნენ დიდძალი გამანადგურებლები, ჩამოგდებულ იქნა 44 თვითმფრინავი, მათგან 40 ოთხმოტორიანი ბომბდამშენი. იმავე დღეს, ღამით, ბრიტანეთის ბომბდამშენები თავს დაესხნენ პარიზის არეს და ბალტიის ზღვის ნაპირებს. რამდენიმე ბომბდამშენი შემოიჭრა დასავლეთი გერმანიისა და ბერლინის არეში. ჩამოგდებულ იქნა მტრის 14 თვითმფრინავი.

გერმანიის სწრაფი თვითმფრინავების მსხვილი შენაერთი თავს დაესხა ლონდონს და მიაყენა მას უდიდესი ზარალი. სხვა საბრძოლო თვითმფრინავებმა ბომბები ჩაჰყარეს აღმოსავლეთი ინგლისის სხვადასხვა ადგილებში.

„პარტიზანების" ბედი საბჭოთა კავშირში

მეტად საინტერესოდ წარიმართა „პარტიზანების" ბედი საბჭოთა კავშირში. ბოლშევიკების მიერ „განთავისუფლებულ" რაიონებში მათი მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. ყველა „პარტიზანს" ბოლშევიკები ეხლა იხილავენ, როგორც ისეთ პირს, რომელსაც ჰქონდა შესაძლებლობა გასცნობოდა სხვა სამყაროს, არასაბჭოთა სინამდვილეს. შინსახკომელების აზრით, ეს ხალხი უკვე გადაეჩვია ბოლშევიკურ დისციპლინას და აქვს მისწრაფება თვითნებური, ანარქიული მოქმედებისაკენ. სტალინი, რომელიც შინსახკომის საშუალებით წარმართავდა ბანდიტების მთელ საქმიანობას გერმანელების ზურგში, ეხლა, როდესაც „პარტიზანები" კვლავ მოექცნენ საბჭოთა ტერიტორიაზე, სთვლის, რომ ისინი წითელი არმიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის საშიშ მასას წარმოადგენენ. მათ შეუძლიათ გახრწნან საბჭოთა ხალხი. დიახ, „ხალხთა მამას" უკვე აღარ სჭირდება მისი „ღირსეული შვილები".

თავისი ბანდიტური საქმიანობით გერმანელების ზურგში, „პარტიზანები" ასეთუისე წყალს ასხამდნენ ბოლშევიკების წისქვილს. ისინი ძარცვავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, აწიოკებდნენ იმ ოჯახებს, რომელნიც უყოყმანოდ გაჰყვნენ გერმანელთა მიერ შემოღებულ ახალ ცხოვრებას, ჰკლავდნენ გერმანულ სამხედრო ხელისუფლებასთან ახლომდგომ პირებს, სოფლის მამასახლისებს, პოლიციის მუშაკებს და სხვ. იშვიათ შემთხვევაში, ისინი მცირე მატერიალურ ზიანს აყენებდნენ გერმანელთა სამხედრო ნაწილებსა და ტრანსპორტს. მაშინ ეს ხელს აძლევდა სტალინს.

ამიტომ „პარტიზანის" სახელი საბჭოთა კავშირში გამოცხადებული იყო როგორც საპატიო, მათ, ამ „ხალხის დიდებულ და საუკეთესო შვილებს", „უდიდესი პატრიოტული დამსახურებისათვის" ჰპირდებოდნენ ყოველგვარ ჯილდოს, სამშობლოში „უშენებდნენ" ციხე-კოშკებს, მათ შესახებ სთხზავდნენ სიმღერებს.

მაგრამ, იძლეოდა რა ასეთ დაპირებებს, შინსახკომმა წინასწარ შეიმუშავა გეგმა „პარტიზანების" მოსპობისა, მას შემდეგ, რაც ისინი მოხვდებოდნენ საბჭოთა ტერიტორიაზე, „თავიანთ" ზურგში.

აი, რას გადმოგვცემენ ახალი ტყვეები და თვითონ „პარტიზანები", რომლებიც უკანვე გამორბიან გერმანელებთან. ერთ-ერთი საპარაშუტო ჯგუფის მეთაური მ., რომელიც ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს, აჩვენებს: „პარტიზანულ მოძრაობას ჩვენ ვუყურებდით, როგორც ომის წარმოების ერთერთ მეთოდს. ჩვენ ყოველთვის გვახსოვდა, რომ პარტიზანები წარმოადგენენ საშიშ ხალხს და დიდიხნით მათი თავისუფლად დატოვება სახიფათოა. ამიტომ, უკანასკნელ ხანებში მთელი ჩვენი მუშაობა მიმართული იყო არა იმდენად პარტიზანული ჯგუფების შექმნისაკენ რამდენადაც მათი ლიკვიდაციისაკენ". სერჟანტი კ. გვიამბობს: „პარტიზანები, რომლებიც წინათ გერმანელების ზურგში მოქმედებდნენ, წითელი არმიის მოსვლის შემდეგ ხელახლა გავიდნენ ტყეში და დაიწყეს მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ. სამხედრო ღონისძიებებით მათი მოსპობა შეუძლებელია. ამიტომ, მუშაობა სწარმოებს ამ ბრბოების შინაგანი გახრწნისათვის".

რამ აიძულა საბჭოთა გუშინდელი „პატრიოტები" გაიჭრენ ტყეში, ძარცვონ კოლმეურნეები, ებრძოლონ ბოლშევიკების მცირე სამხედრო ნაწილებს?

საქმის ნამდვილი შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: საბჭოთა ზურგში მოქცეული „პარტიზანების" რაზმი დაუყოვნებლივ გადადის შინსახკომის განკარგულებაში. იწყება საფუძვლიანი წმენდა. ხელმძღვანელი პარტიული მუშაკებისა და მეთაურების გარდა, ყველა „პარტიზანი" ცხადდება საეჭვო და საშიშ პირად. ის, ვინც გვიან შეუერთდა პარტიზანულ რაზმს ან მოვიდა გერმანული ნაწილიდან, ყოველგვარი შეღავათის გარეშე, სიკვდილით ისჯება. დანარჩენი „პარტიზანები" ჩაირიცხებიან საჯარიმო ათასეულებში, ისინი მოწინავე ხაზზე ასრულებენ ყველაზე საშიშ დავალებას. უკეთეს შემთხვევაში „პარტიზანები" სპეციალური ეტაპით იგზავნებიან შინსახკომის შორეულ ბანაკებში. ბოლშევიკების მთავარი მიზანია, არ დაუშვან, რომ ყოფილმა „პარტიზანებმა" რაიმე ურთიერთობა იქონიონ საბჭოთა მოსახლეობასთან. ყველაფერი ეს, „პარტიზანებმა" მიიღეს შეპირებული ჯილდოს ნაცვლად.

*

მანევრები პორტუგალიაში

პორტუგალიაში, ახლო კვირებში, დაიწყება საგაზაფხულო მანევრები, რაც დაკავშირებული იქნება სამოქალაქო მოსახლეობისათვის საჩვენებელ საჰაერო თავდაცვასთან. პორტუგალიის ლეგიონი, რომელსაც დაკისრებული აქვს ქვეყნის თავდაცვა, მიჰმართავს მოსახლეობას მოწოდებით ყველა ზომა მიიღოს საჰაერო თავდაცვისათვის და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შუქშენიღბვის წესებს.

გამარჯვების შანსები

დ. საღირაშვილი

საბჭოთა კავშირის, ამერიკისა და იაპონიის ომში ჩარევით ამ მეორე მსოფლიო ომმა „კოსმიური" ხასიათი მიიღო. მთელი დედამიწის ზურგზე არაა ნაჭერი, რომელიც ამათუიმ სახით ამ გამანადგურებელ ომში არ იყოს ჩათრეული. ამიტომ მისი ბოლო ჯერ კიდევ შორს არის. საშინელი კატასტროფა გრძელდება. რომელ მხარეს როგორ აქვს მდგომარეობა, ეს საიდუმლოებაა, ყოველ შემთხვევაში, უაზრო გამოდგა ამერიკის საზღვაო მინისტრის ნოქსის განცხადება, რომელმაც იაპონიას 90 დღეში აღუთქვა წამოჩოქება. ომი მაინც ხანგრძლივ ხასიათს ღებულობს და ამერიკას დასჭირდება მრავალი მსხვერპლის გაღება, იმ ამერიკას, რომლის მოსახლეობას დემოკრატიული, უსირცხვილო პროპაგანდის გამო მართლაც სჯეროდა, რომ ევროპაში ომი ამერიკისათვის გასეირნების ხასიათს მიიღებდა.

ომის განმავლობაში ძალიან ძნელია დანახვა და ცოდნა იმისა, თუ როგორია მოწინააღმდეგის ნამდვილი მდგომარეობა. აქედან ერთი პრინციპის დადგენა შეიძლება მხოლოდ: უკიდურესი გაძლება ბრძოლის დროს, როგორც კლაუზევიცი ურჩევს. მიუხედავად ამ სიძნელისა, ორივე მხარე, რასაკვირველია, სცდილობს მოწინააღმდეგის მდგომარეობის გაგებას, მისი სუსტი მხარეების შემჩნევას, და ვფიქრობ, ეს ნიშნები ბოლშევიკური რუსეთისა უმწეოდ გამოიყურება. იქ რომ შიმშილი დაისადგურებს, ბევრისათვის უკვე ცხადი ხდება. მათი მდგომარეობა რომ უმწეოა, ამას ამტკიცებს და საუკეთესოდ გვიჩვენებს ის გარემოება, რომ, მიუხედავად მათი განუწყვეტელი შემოტევებისა, ისინი დაჟინებით მოითხოვენ მეორე ფრონტის შექმნას და, მერე ისეთი ფორმით, რომელიც გვაფიქრებინებს მათს გაჭირვებას. ჯერ იყო, ინგლისის მუშათა პროფესიული კავშირების მეთაურს სიტრინს, მისი მოსკოვში ყოფნის დროს, მოსთხოვეს ხელწერილი, რომ ის მომავალ კონგრესზე მეორე ფრონტის მოთხოვნას წამოაყენებდა. სიტრინმა ეს ხელწერილი არ მისცა, თუმცა განსაზღვრულ ფარგლებში მომხრეა მეორე ფრონტის შექმნისა. და ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ ბოლშევიკებმა 10 დელეგატი გაჰგზავნეს შვერნიკის მეთაურობით ინგლისში მუშათა კონგრესზე დასასწრებლად. შვერნიკის პირველი და უკანასკნელი სიტყვა ეხებოდა მეორე ფრონტის შექმნას. კონგრესზე სხვა საკითხები თითქმის მიიჩქმალა და ლაპარაკი იყო მხოლოდ ამ ყბადაღებულ მეორე ფრონტზე. ვინ არ იცის, რომ გერმანიას აუარებელი დივიზიები ჰყავს სწორეთ დასავლეთის ფრონტზე. მიუხედავად ამისა, მაინც გაისმის ეს მოსაბეზრებელი ჩივილი და უხეში მუქარა. აი ეხლაც ბოლშევიკური გაზეთი ლონდონში „დეილი უორკერი" ჩერჩილისაგან მოითხოვს ულტიმატური ფორმით მეორე ფრონტის შექმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროდ მიაჩნია მთავრობისა და პირველ რიგში თვით ჩერჩილის გადადგომა. ამ ნერვიულობამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ამასწინათ ლონდონში ბოლშევიკური დემონსტრაცია მოხდა ქუჩებში. დემონსტრაცია ჩერჩილს მიუხტა და იგივე მოთხოვნილება გაუმეორა. პოლიციამ იგი ძალით გაჰფანტა. ლეიბორისტული პარტიის გაზეთი „დეილი ჰერალდი" პროტესტს აცხადებს ბოლშევიკური გაზეთის უპასუხისმგებლო გამოლაშქრებაზე, რომელიც მთავრობას საბედისწერო ნაბიჯისაკენ მოუწოდებს. ამ პროტესტს ბოლშევიკურმა გაზეთმა უპასუხა — მეორე ფრონტი რუსებისათვის ერთადერთი ხსნაა, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთს შიმშილის საშინელი აჩრდილი თვალებში უყურებსო.

ჩვენი მოვალეობაა გულდასმით ვადევნოთ თვალყური ამ ე.წ. მუშათა გაზეთების დავას. ჩვენ გვჯერა, რომ ამ კამათში ბოლშევიკური გაზეთი სიმართლესთან ახლოა, ის გამოხატავს რუსეთის ბოლშევიკების გაჭირვებას და მათს სურვილს. მართლაც, საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა მეტად უნუგეშოა.

მეფის რუსეთმა, 2 წელსა და 7 თვეზე მეტს ვერ გაუძლო ომს და სამუდამოდ დაიმსხვრა, თუმცა მას მეტი რესურსები ჰქონდა საუკუნოებით დაგროვილი. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ბოლშევიკური რუსეთი გაცილებით უარეს მდგომარეობაში იმყოფება. ამიტომ მოსალოდნელია გერმანიის ძალების ერთხელ კიდევ გამომჟღავნება. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს იქნება საშინელი, ყველაფრის გამანადგურებელი და გადააჭარბებს ყოველივეს, რამაც აქამდე ჩვენს თვალწინ გაიარა. სად მოხდება ეს, რომელ ფრონტზე, ალბათ იქნება დაკავშირებული გერმანიის სტრატეგიის ძირითად დებულებასთან, რომელიც დამყარებულია უდიდესი სამხედრო მეცნიერ-ფილოსოფოსის კლაუზევიცის მოძღვრებაზე. კლაუზევიცი ურჩევს მხედართმთავრებს ომის გადამწყვეტი ოპერაციები აწარმოონ რაც შეიძლება საკუთარი ქვეყნის საზღვრებთან ახლო ან ზურგის კარგად მოწყობის შემდეგ. ომის ამ უკანასკნელ სტადიაში ამათუიმ ქალაქს ან ტერიტორიას დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. მთავარია გადამწყვეტი ბრძოლის მოგება. ჩვენ ბევრი მომენტები გვაფიქრებინებს, რომ გერმანიის მხედრობის უმაღლესი სარდლობა ამ მოძღვრებას არ უღალატებს. ეს მით უმეტეს, რომ გერმანიას შეუძლია ერთსადაიმავე დროს ორსავე ფრონტზე აწარმოოს შეტევა და ერთი გადააქციოს გენერალურ შეტევად, თუ ამას გარემოება უკარნახებს. ამის შესაძლებლობა აქვს მას მისი ცენტრალური, ე. წ. შინაგანი ხაზების წყალობით. ეს მისი უდიდესი უპირატესობაა, რაც მტერმაც კარგად იცის. ამიტომაა მტერი მეტად ფრთხილად, რადგან მას ასეთი არ მოეპოვება. მან უნდა შორიდან, ზღვით მოუყაროს საკუთარ ძალებს თავი. ამ გარემოებით აიხსნება, რომ მისი ოპერაციები ყოველთვის ტლანქია, დაგვიანებული. გარდა ამისა, მტრის ძალები განსაზღვრულია იმ უდიდესი ფაქტორის გამო, რომელსაც იაპონია წარმოადგენს. ამიტომ ამ ომის მსვლელობის დაფასებაში ეს უმნიშვნელოვანესი ძალა — იაპონია და მისი ტერიტორია ერთ მილიარდამდე მოსახლით და მთელ დედამიწის ზურგზე უდიდესი ეკონომიური რესურსებით, რომელიც მას ჩაუვარდა მისი ბრწყინვალე ლაშქრობის შედეგად — არასდროს არ უნდა გვავიწყდებოდეს. უბრალოდ კი არ უდგას ინგლის-ამერიკას ორ მილიონზე მეტი ჯარი ინდოეთში, რომელსაც იაპონია ემუქრება. ინდოეთის მდგომარეობა გამწვავებულია! მის გარეთ ამოძრავებული 16 მილიონი ინდოელი სუბჰას ჩანდარა ბოსეს, ინდოეთის ეროვნული მოძრაობის მეთაურის, ენერგიული ხელმძღვანელობით, სერიოზულ ძალას წარმოადგენს. მისი ეროვნული ჯარი შექმნილია და რაც დრო გადის, იზრდება, მტკიცდება იაპონელი ინსტრუქტორების ზედამხედველობით. ბირმისა და ინდოეთის საზღვარზე, სადაც 800.000 ინგლის-ინდოეთის ჯარისკაცია თავმოყრილი, სამხედრო მოქმედება უკვე დაიწყო. გარდა ამისა, მოსალოდნელია გართულება შორეულ აღმოსავლეთ-რუსეთის საზღვარზეც. ამის საბაბს თვით მოუსვენარი ბოლშევიკური რუსეთი იძლევა. ის ეხლაც არ ანებებს თავს ოცნებას პორტარტურზე, დარდანელზე, ლამობს სპარსეთის ზღვის ყურის ხელში ჩაგდებას და საზოგადოდ ახლო აღმოსავლეთში ამღვრეულ წყალში თევზების დაჭერას სცდილობს.

დასკვნა: ძველი, ცარიზმის რუსეთი პირველმა მსოფლიო ომმა დაღუპა, ვინაიდან იგი არ იყო მისი ნაციონალური ინტერესებით ნაკარნახევი. რუსეთის ხალხის სისხლი იღვრებოდა უცხო ძალების, ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის იმპერიალისტების ზრახვებისათვის. ეხლანდელ ომში რუსეთის ხალხთა ეს უმაგალითო სისხლისღვრა ხომ სულ უცხოა მათთვის და ეს დაღვრილი სისხლივე დაღუპავს სტალინის რუსეთსაც. ბოლშევიზმი რუსეთში სისხლით დაიწყო, სისხლით გასძლო 25 წლის განმავლობაში და ეხლაც სისხლში იხრჩობა.

ჩვენს სამშობლოსაც აუარებელი მსხვერპლი მოაქვს, ეწირება ჩვენი ხალხის ავლადიდება უმიზნოდ, პირიქით, მისი ინტერესების წინააღმდეგ. საქართველოს არ ესაჭიროება ეს ომი. ის მექანიკურად, ავტომატურად არის ჩათრეული ამ მსოფლიო კატასტროფაში, ვინაიდან იგი არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. დამოუკიდებელი საქართველო შეინარჩუნებდა თავის ნეიტრალიტეტს, რითაც გადაირჩენდა თავს. და თუ ის იძულებით იომებდა, სისხლს დაღვრიდა თავისი ქვეყნის დასაცავად, საკუთარ მიწაწყალზე და არა რუსეთის დაუსრულებელ სივრცეზე, ფინეთიდან დაწყებული ყირიმამდე, სადაც ქართველი ახალგაზრდობის უამრავი სისხლი დაითხა და ითხევა კიდევ. სულ ცოტა ოცდაათი წლის განმავლობაში ეს მეორეჯერ იღვრება ქართული სისხლი რუსეთის უგუნური პოლიტიკის გამო, ამას უნდა დაემატოს რუსეთ-ფინეთის ომი 1939-40 წ. წ., რომელსაც ათი ათასი ქართველი ახალგაზრდა შეეწირა. ჩვენი ქვეყანა ხდება მსხვერპლი ბოლშევიკური რუსეთის დამღუპველი პოლიტიკისა. ქართული პრობლემა მოსახლეობის პრობლემაა. ამ მოსახლეობას კი გვიჩანაგებს ჩვენი რუსეთთან ყოფნა. ამიტომაა ჩვენთვის ასე ძვირფასი დამოუკიდებელი ცხოვრება, რომელიც სისხლითვე წაგვართვეს ჩვენი ქვეყნის მტრებმა და ორგულებმა და რუსეთს დაუმორჩილეს. აი ამ თარიღიდან, 1921 წ. 11 თებერვლიდან, როცა ბოლშევიკური რუსეთი ომის გამოუცხადებლად შემოესია საქართველოს, გადაწყდა ჩვენი ქვეყნის სვებედიც!

ამ სისხლიანი მოძალადის წინააღმდეგ ამხედრებულია კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი, მთელი კულტურული ევროპა. ის ამ გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადება და ჩვენ გვწამს, რომ დადგება წუთი, როდესაც საბოლოოდ შეიმუსრება ეს ბოროტი ძალა, რომელიც კაცობრიობას ოცდახუთი წლის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევს.

ამჟამად კი ქართველობის ვალია ყველა ძალების დარაზმვა, სადაც არ უნდა იყოს იგი, ამ ძალების მიზანშეწონილი გამოყენება და მზადება იმ დღისათვის, როდესაც დაჰკრავს ჟამი ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისა, მისი საკუთარ ფეხზე დადგომისა.

დასასრული. იხ. „საქართველო" N 16 (93).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკების დაწოლის საიდუმლოება აღმოსავლეთში

როგორ უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ დიდი ზარალისა და უკანასკნელ ხანებში შექმნილი უგზოობის მიუხედავად, ბოლშევიკების ცდები — გაარღვიონ გერმანელთა ფრონტი აღმოსავლეთში — კვლავ გრძელდება? რით უნდა ავხსნათ, რომ ბოლშევიკები აქამდე განაგრძობენ თავიანთ შემოტევას, რომელსაც ისინი მცირე შესვენებებით აწარმოებენ წარსული წლის ზაფხულიდან? ეს კითხვები ხშირად გვესმის, განსაკუთრებით ეხლა, ვინაიდან ბოლშევიკები უკანასკნელ დრომდე აწარმოებენ ძლიერ დაწოლას აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთ უბანში. კითხვებში გამოკრთის შემცდარი წარმოდგენა „სტალინურ" რეზერვებზე, ბოლშევიკების ცოცხალი და მატერიალური ძალების რეზერვუარის ულეველობაზე.

აღმოსავლეთის ფრონტზე ბოლშევიკების დაწოლის ასეთი ხანგრძლიობის საიდუმლოება აიხსნება იმით კი არა, რომ მტერს იგი წინასწარ აქვს განსაზღვრული, არამედ იმით, რომ ბოლშევიკები იძულებული არიან აწარმოონ ეს შემოტევა. სტალინი ეხლა იბრძვის ყოველგვარი ზარალის მიუხედავად. იგი აწარმოებს შემოტევას არა იმიტომ, რომ მისი ძალები ამოუწურავია და მას შეუძლია ასეთ ფუფუნებას მიეცეს, იბრძოლოს შეუსვენებლივ წარსული წლის ივლისიდან, შეიყვანოს ბრძოლაში სულ ახალი დივიზიები ან შეავსოს ძველი ნაწილები. არა! სტალინი აკეთებს ამას იმიტომ, რომ სხვანაირად მას არ შეუძლია მოიქცეს. სამხედრო და, უპირველესყოვლისა, ეკონომიური პირობები არ აძლევენ ბოლშევიკებს საშუალებას გაახანგრძლიონ დღევანდელი ომი. უზარმაზარი ქვეყანა გაპარტახებულია, სასურსათო მდგომარეობა დაძაბულია და ხალხის განწყობილება მეტად ცუდი. თუ რა დასკვნას აკეთებს ამ მდგომარეობიდან თვითონ სტალინი, კარგად სჩანს იმ საზავო წინადადებიდან, რომელიც ამერიკელებისა და ინგლისელების ხელშეწყობით, მან ამ რამოდენიმე ხნის წინათ ფინეთს წაუყენა ჰელსინკიში. ეს წინადადება სავსე იყო ბუნდოვანი დაპირებებით და, როგორც ცნობილია, უშედეგოდ დასრულდა. სტალინს ამით სურდა ერთ ფრონტზე მაინც დაემთავრებინა ომი.

გერმანიის ელასტიური თავდაცვა, უცდის რა დასავლეთის ამბებს, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ამ ომის მთელი ბედი, უკვე ერთ წელზე მეტია თავისი ნახევარი ძალებით აწარმოებს ომს და წარმოადგენს სტალინისათვის უდიდეს საფრთხეს. სწორეთ ეს გერმანული თავდაცვაა, რომ განუწყვეტლივ ასუსტებს მას და დღითიდღე ამცირებს მის იმედებს გაუძლოს დარტყმას გადამწყვეტ ბრძოლაში მაშინ, როდესაც გერმანიას ორივე ხელი ექნება გახსნილი. ამიტომაა, რომ სტალინი ეხლა აწარმოებს განუწყვეტელ შემოტევას საბოლოო გამოფიტვამდე, არმიისა და მატერიალური მდგომარეობის მხედველობაში მიუღებლად.

ხალხში გავრცელებულია აზრი, თითქოს ეხლანდელი უგზოობა აღმოსავლეთში, ხელს უწყობს თავდაცვას ან ყოველშემთხვევაში ნაკლებ უარყოფით გავლენას ახდენს თავდამცველზე, ვიდრე შემტევ მხარეზე. შემტევს აქვს გრძელი გზები შეტევისა და მომარაგებისათვის. მაგრამ, ამასთანავე მას აქვს მეტი დროც შესაფერი დისპოზიციებისათვის. მას შეუძლია ადვილად მოახდინოს თავისი ჯარებისა და მასალის კონცენტრაცია და თავისდროზე მიაწოდოს საჭირო პუნქტებს. თავდამცველ მხარეს, რომელსაც ყველგან უნდა ჰყავდეს ასეთუისე თანასწორი ძალები, არ შეუძლია ამის გაკეთება. მას უხდება სწრაფი ორიენტირება მუდმივად ცვალებად გარემოში და თავდაცვის სამანევრო ტაქტიკის შესაფერისად ჯარების გადასროლა მთავარი დარტყმის ადგილზე. თავდაცვის განკარგულებაში მყოფი გზები, უმეტეს შემთხვევაში, ფრონტისაკენ კი არ მიემართებიან, არამედ მის პარალელურად. რომელიმე სექტორში შექმნილი რაიმე მოულოდნელი მდგომარეობის დროს, მაგალითად, ადგილობრივი ხასიათის გარღვევისას, თავდაცვას უხდება ჯარების გადაყვანა შემოვლით, რაც მას ბევრ დროს აკარგვინებს. ვინაიდან გერმანიის ტაქტიკა აღმოსავლეთში უმთავრესად ჯარების მანევრირებას ეყრდნობა, ამიტომ ცხადია, რომ ომის ეხლანდელ სტადიაში უგზოობა ხელს უწყობს არა გერმანელებს, არამედ, პირიქით, ბოლშევიკებს. ამინდის ცუდი მდგომარეობა, რომელიც არ ჩაითვლება გადამწყვეტად, ბოლშევიკებს აძლევს ზოგიერთ ადგილობრივ უპირატესობას მათი „შეუჩერებელი" შემოტევის დროს. ცხადია, როდესაც გერმანული ნაწილები გადადიან კონტრშეტევაზე, ბოლშევიკებს ძვირად უჯდებათ თავისი ნაწილობრივი წარმატებები.

ბოლშევიკები თანდათან შორდებიან თავიანთ ზურგს, მათი ცოცხალი ძალები და მატერიალური რესურსები სულ უფროდაუფრო მცირდება, სამაგიეროდ, გერმანიის არმია კარგად ინარჩუნებს თავის ცოცხალ ძალას და იძენს უპირატესობას საბოლოო გადამწყვეტი დარტყმისათვის.

ო. ბ.

ქართული ათასეულის მეთაური ესალმება უცხოელ ჟურნალისტებს მათ პატივსაცემად მოწყობილ საღამოზე.

ისტორიული ლექსები

ლეგ. ვ. ურდოელი

3. გამოცხადება

ვიღაც მსტოვარმა დაასმინა... შეთქეს მყისვე:
ჰერეთის შოთა, ეგარსლან და შანშე ძლიერი,
ვარამ გაგელი, ჯაყელი და ბრძენი თმოგველი, —
მესხნი და კახნი, ტაოელნი, ამერ-იმერი...

მრისხანე ჰქონდა განაჩენი ჩარმაღან ნოინს:
ანისის მინდვრად თაფლწასმულნი თაკარა მზეში,
ეს ვაჟკაცები გდებულიყვნენ უწყლოდ იმ დრომდის,
სანამ ყველა არ გახდებოდა ყორნების ლეში!..

ესმა ეს ცოტნეს, — აენთო და აზავთდა გული,
სპა, რომლითაც მას სურდა რბევა მონგოლ ურდოთა,
დამალა სწრაფად, და ვაჟკაცის ამაყი სულით
ეახლა გმირებს... ვერვინ მიხვდა, თუ რა უნდოდა!

ნოინს რომ ესმა თვითნებური გამოცხადება,
ბრძანა მოყვანა, სურს გაიგოს — მოვიდა რატომ? —
ნათელი სახის, ახოვანი და ცეცხლთვალება
მხნე დადიანი ამაყ მზერით წარუდგა ბატონს:

„ეს დიდებულნი, ჩემთან ზრდილნი, ძლიერთ-ძლიერთ,
„მართალი გახლავთ, არ მიუძღვით ბრალი რამეში,
და, თუ საერთო ნეტარების ჟამს მათთან ვიყავ,
„მინდა, რომ ვიყო მარტვილობის შავბნელ ღამეშიც!.."

გაოცდა დიდად, — არ ელოდა ამ თავგანწირვას,
აქამდე უტეხ გულში მძიმე სისუსტე ჩადგა!..
მხნედ იდგა ცოტნე — კლდით მოჭრილი ამაყ არწივად
და ჩარმაღანი მასთან ჩია კაცივით ჩანდა!

4. ლომის ბოკვერი

ჰქროდა ბორიო... მაისის მზე ზღვაში დნებოდა,
სირთა დაატკბეს ცა ლურჯი და მხარე თამამი,
დიდებულებთან სასახლეში მეფე თამარი
მწუხრის ლოცვისთვის ემზადებოდა.

ანაზდად მხეცის შემოესმათ ავი ღრიალი,
შეკრთნენ ყველანი: მეფეს ცუდი ხომ არ მოელის! —
და, ვით გრიგალი, აწყვეტილი ლომის ბოკვერი
სასახლის დარბაზს მიეტანა ჭრელთვალიანი!

ის იყო უნდა დაეგლიჯა პირველი მსხვერპლი, —
ანთებულ თვალებს წინ შემოხვდა ნაზი მშვენება,
შეკრთა და ფეხქვეშ დაეფინა... ველარ ენება

გესლი ენთხია... თუმც არ დარჩა ეზოში ხეცკი.
რა ქალი არის თამარ-ქალი, რა ცის თენება,
რომ აგრერიგად დაატყვევა ავგულა მხეცი!..

ქართველები ატლანტიკის სანაპიროზე

გაზეთ „პარიზერ ცაიტუნგში", 2 აპრილის ნომერში, გამოქვეყნებულია დოქტორი ჰანს ბორგელტის მეტად საყურადღებო წერილი ქართველი ლეგიონერებისა და, საერთოდ, ქართველების შესახებ. ვათავსებთ მის თარგმანს ოდნავი შემოკლებით.

ბალახითა და ბუჩქნარებით შეხამებული ლეგიონერი კატასავით სწრაფად, უხმოდ და მოქნილად მიიპარება ოფიცრისაკენ, რომელიც სტერეომილთან სდგას. ის ოფიცერს მოახსენებს დასმენას და ახალი ბრძანების მოლოდინში იქვე, ხის ჩრდილში ჩაჯდება. ლეიტენანტი კიდევ ერთხელ ჩაჰხედავს მილში და გადასძახებს ლეგიონერს უცხო ენაზე რამდენსამე სიტყვას, მებრძოლი ნათქვამს მოკლედ იმეორებს. ორიოდე წუთი და მეკავშირე თვალიდან იკარგება, ხოლო სულ მცირე ხნის შემდეგ კვლავ ჩნდება, მძლავრი ნახტომით ღობეს გადაევლება და სივრცეში შთაინთქმება.

— ამას თქვენ ვერც ერთი ჯარისკაცი ვერ გაგიმეორებთ — გულახდილად აცხადებს მაიორი, რომელიც წვრთნას ხელმძღვანელობს.

— ქართველები დახელოვნებული მზვერავები და მეკავშირენი არიან, — განაგრძობს იგი, — მათი ხელოვნება — იმოქმედონ შეუმჩნევლად —წაუბაძავია. როდესაც კლდეზე და ღრეზე პირდაპირ მოხიარულე ქართველები ბრძოლის ჟინით არიან გატაცებული, მე არ ვისურვებდი მათს წინააღმდეგ მტრის როლში ყოფნას.

ამაღლებული ადგილიდან, საიდანაც თქვენს თვალწინ იშლება მზის სხივებით ალაპლაპებული ზღვა და ნორმანდიის კლდოვანი ნაპირები, ჩვენ საშუალება გვაქვს ვარჯიშს თვალყური ვადევნოთ. პირობითად, აქ ინგლის-ამერიკელებმა, თავიანთი ნაწილების გადმოსხმა მოახერხეს. თავდაცვა სწრაფად ებმევა ბრძოლაში. მტერი სასტიკ წინააღმდეგობას ხვდება, იგი ყოველსაათს ძლიერსა და დაუნდობელ კონტრშეტევებს განიცდის.

ნისლმფრქვევის ყუმბარებმა მოწინააღმდეგეს თავგზა დაუბნია და მხედველობის უნარი დაუკარგა. ქართული ლეგიონის ახეული, რომელიც უეცრად, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, თავგამოდებით იბრძვის და დაჟინებით მიიწევს წინ.

მედეას ქვეყანა

ვარჯიში დამთავრებულია. დივიზიის მეთაური ათასეულის შემადგენლობას თავის შთაბეჭდილებებს და კმაყოფილებას უზიარებს. იგი დარწმუნებულია, რომ აღმოსავლეთის ჯარები დასავლეთში თავიანთ ვაჟკაცობას დაამტკიცებენ.

ახალგაზრდა ქართველი ლეიტენანტი სთარგმნის გენერლის სიტყვას. უძრავად სდგანან მოხალისენი. მათ არ ემჩნევათ უკანასკნელი საათების მოქანცულობა. ესენი წარმოადგენენ მტკიცე აგებულებისა და მძლეოსნის ტანადობის მქონე ვაჟკაცებს, რომლებიც ჯანმრთელი და ამტანიანი გლეხი ხალხის წარმომადგენლები არიან. მათი თავისქალის ფორმა დინარულია, მათ შორის არიან საერთოგერმანული რასის აღნაგობის მქონე ახალგაზრდებიც. ქართველთა სახის ნაკვთები ჰარმონიული და ნათელია.

ლეიტენანტი დ., რომელიც ომის დაწყებამდე თბილისში რკინიგზის ინჟინრად მუშაობდა, ხოლო წითელ არმიაში ტექნიკური ნაწილების ოფიცერი იყო, ტყვედ ჩავარდნის შემდეგ მოხალისედ შევიდა ქართულ ლეგიონში. შეკრება რომ დაიშალა, იგი გვიყვება: „სამწუხაროდ, ჩვენ მონღოლებად, ან სლავური რასის წარმომადგენლებად გვთვლიან, ჩვენი რასა კი სინამდვილეში ეკუთვნის ევროპული კულტურის წრეს. შეისწავლეთ ჩვენი ქვეყნის ისტორია და დარწმუნდებით, რომ საქართველო არც შეუსწავლელი მხარეა და არც უკულტურო უდაბნო!"

საქართველოს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბერძნების გმირი იაზონი, საქართველოს ერთერთ მხარეში, სახელდობრ კოლხიდაში მივიდა ოქროს ვერძის საპოვნელად. მან კოლხიდიდან მეფის ასული მედეა მოიტაცა და თავის სასახლეში წაიყვანა. ოვიდიუსი და ჰეროდოტე თავიანთ ნაწერებში საქართველოს შესახებ შემდეგს მოგვითხრობენ: ასეული წლების განმავლობაში შეურყევლად იდგა პატარა ერი, რასიულად მტკიცედ გაერთიანებული, ყოველი მხრიდან თავდამსხმელი აზიელი მოძალადეების წინააღმდეგ.

ქართველი ხალხი ბოლშევიკების მზაკვრული პოლიტიკის შედეგად საგრძნობლად შემცირდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს შვილები ურყევი რწმენით ჩაებნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მათი დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ და ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი ქართული ლეგიონი. ყველა მისი წევრი საველე ხალათის მარჯვენა სახელოზე ატარებს თავისი სამშობლოს სიმბოლურ ნიშანს. ქართული დროშის ფერებია: თეთრი, შავი და შვინდისფერი.

მოსკოვის მტრები

საფრანგეთის სანაპიროებზე ყველგან სდგანან სხვადასხვა ნაციონალური შენაერთები გერმანელ ამხანაგებთან ერთად. მათ კარგად იციან, რატომ მოვიდნენ საფრანგეთში. ვინც ბოლშევიკებს ემხრობა ან მათთან რაიმე კავშირშია, იქნება ეს ინგლისელი თუ ამერიკელი, ქართველებისა და სხვა მოხალისეთა დაუძინებელი მტერია. თუ მოწინააღმდეგე მოისურვებს თავისი ჯარების ნაპირზე გადმოსხმას, იგი გაიგებს, თუ რას ნიშნავს ფანატიკურად განწყობილი დანაყოფების წინააღმდეგ ბრძოლა. მოხალისეებმა იციან, რისთვის და ვის წინააღმდეგ იბრძვიან.

— აქ, ნორმანდიაში, — გვიყვება უმცროსი მეთაური, სოფლის ყოფილი მასწავლებელი სიმონ ფ., — ნათლად დავინახე მარქსისტული მოძღვრების სიყალბე. სკოლებში ჩვენ ჩაგვჩიჩინებდნენ: პროლეტარები ყველა ქვეყნებში თავიანთ სამშობლოს პოულობენო. ეხლა მე საფრანგეთში ვიმყოფები, მაგრამ განა სახლში ვარ? არა, ვერც მშვენიერ ნორმანდიაში მიყუჩდება სამშობლოსადმი გამოწვეული ტკივილები. ყველგან, უცხოეთში, მე მხოლოდ ქართველი დავრჩები! ჩვენ გვძულს ინტერნაციონალიზმი. ჩვენი სურვილია — თუგინდ მათხოვრებად ვიყოთ საკუთარ სახელმწიფოში, საქართველოში, ვიდრე საზღვარგარეთ — მილიონერები.

„გამარჯობა"

ამხანაგური საღამო ჯარისკაცის სახლში. გერმანელი ჯარისკაცები და ქართველი მოხალისეები ერთად არიან. მათ შორის ზის დივიზიის კომენდანტი და დასკვნებს უკეთებს საბრძოლო ვარჯიშს.

სიამოვნებით სვამენ საქართველოს მთებიდან წამოსული ვაჟკაცები ფრანგულ წითელ ღვინოს. ამ საქმეში მათ ზოგიერთი რამ გაეგებათ. ქართული ღვინოები ყველგან გათქმულია და ემსგავსება ფრანგულ ბურგუნდიულ წითელ ღვინოს.

შემდეგ ისინი სტუმრებს უჩვენებენ იმას, რაც მათ ასეთ ატმოსფეროში ჯერკიდევ არ უნახავთ.

შორეული სამშობლოს დამახასიათებელი ცეკვები და სიმღერები. გრგვინავენ ქართველთა დაუძალებელი ხმები ვიწრო დარბაზში. ამ სიმღერების მრავალხმიანობას ალტაცებაში მოჰყავს ადამიანი. ისინი მღერიან ბრძოლისა და სიყვარულის სიმღერებს. მელანქოლიური მელოდიები აღვიძებენ სურვილებს წყნარი ცხოვრებისადმი. შემდეგ ისევ ცეცხლივით ინთება რიტმიული რაინდული ჰიმნი მარად მზადყოფნის შესახებ. ყველა ქართველი კარგი მომღერალია. საკმარისია ათმა ქართველმა თავი მოიყაროს, რომ უკვე გუნდი იქმნება, რის მოსმენაც მეტად სასიამოვნოა. გსურს ნახო ყველაფერი ეს ქალწულებრივი, მთაგორიანი ბუნების წიაღში!..

მოცეკვავეები სწრაფად და მოხდენილად ტრიალებენ საცეკვაო დარბაზში. ისინი ჩაცმული არიან ნაციონალურ კოსტუმებში. საიდან აქვთ მოხალისეებს ეს კოსტუმები? ცხადია, ყველაფერი მათ საკუთარი ხელით შეჰქმნეს...

ერთი ახალგაზრდა მოხალისე ქალურად ცეკვავს, მას ამხანაგები მხიარული ტაშისცემით ეგებებიან. საკუთარი ხელით გაკეთებული ზურნით უკრავენ საცეკვაოს. მათ რიტმიულად აჰყვებიან ხოლმე სრულიად უბრალო დოლი და მანდოლინის მსგავსი სამღარიანი საკრავი.

„გამარჯობა" — ესალმება გუნდის ხელმძღვანელი მსმენელებს აწეული ხელით. ეს ნიშნავს „გამარჯვებას" და ითვლება ქართულ ეროვნულ მისალმებად.

საღამო 26 მაისის ჰიმნით დაიწყო და გრაციოზული, ფეხისწვერებზე შესრულებული, წარმტაცი ლეკურით დამთავრდა.

„გამარჯობა!"

„გაუმარჯოს საქართველოს!"

მემატიანის ბლოკნოტიდან

ლორდების გადაგვარება

ინგლისელმა მეცნიერმა, დოქტორმა რობერტსმა ინგლისურ პრესაში მოათავსა წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ ინგლისის ინტელიგენციას შორის განუწყვეტლივ მცირდება დაბადებათა რიცხვი. მომავალ თაობაში არისტოკრატი ბავშვების საერთო რიცხვის შეფარდება არაინტელიგენტთა ბავშვების საერთო რიცხვთან უკვე იქნება 3 : 100 მაშინ, როდესაც ეხლა ეს შეფარდება გამოიხატება პროპორციით 4 : 100.

ჩვენ არ გავარჩევთ დაწვრილებით ამ პროპორციებს, ვინაიდან ყველასათვის ნათელია, რომ იგი შედეგია საერთო მდგომარეობის შერყევისა ძველ ინგლისში. გვაინტერესებს მხოლოდ ერთი დასკვნა, რომელსაც აკეთებს თვითონ ძველი სწავლული. მისი დასკვნა ასეთია: „ინგლისელი ხალხი გადაშენების გზაზეა და სულელების ნაციად იქცევა“.

როგორც ვხედავთ, დოქტორ რობერტსს არ ერიდება ახდილად განაცხადოს, რომ, მისი აზრით, ინგლისელ მუშებსა და გლეხებს არ ძალუძთ შობონ ჭკვიანი ბავშვები. დოქტორ რობერტს ჰგონია, რომ მხოლოდ ლორდებსა და არისტოკრატებს აქვთ მონოპოლია გამრავლდნენ ინგლისელი ხალხის საკეთილდღეოდ.

ჩვენ არც ექიმები ვართ და არც ლორდები, მაგრამ სიამოვნებით ვესალმებით „გენიალურ“ დოქტორს. თვით ფაქტი, რობერტსის გამოსვლისა, წარმოადგენს საუკეთესო დამტკიცებას იმისათვის, რომ ინგლისის ძველი არისტოკრატია უიმედოდ არის გამოტვინებული. იგი იმპოტენტური გახდა როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად.

სტალინი იღრინება

უკანასკნელ ხანებში ამერიკაში მეტად გაძლიერდა ანტისაბჭოთა პროპაგანდა. ამერიკის ხალხი უკმაყოფილოა რუზველტის პოლიტიკით და მისი სიმპათიები თანდათან იხრება სენატორების ნეის, ვეელერისა და ცნობილი მფრინავის ჩარლზ ლინდბერგის მხარეზე, რომლებიც მეთაურობენ კამპანიას კომპრომისული ზავისათვის ღერძის სახელმწიფოებთან. აღნიშნულ ჯგუფს ეხმარება ჰერსტის პრესა. სტალინს, ყველაფერი ეს, რასაკვირველია, არ მოსწონს და იწყებს ღრენას.

„გაზეთის განგსტერი ჰერსტი“ — ასეთი სათაურით გამოქვეყნდა ამ დღეებში ზასლავსკის ფელეტონი საბჭოთა პრესაში. ეშინია კი მსგავსი გინებისა ამერიკელ ხალხს?

ამაო შრომა

ლონდონის ახლოს დაიწყო მშენებლობა მსოფლიოში ყველაზე დიდი აეროდრომისა, რომელიც ალბათ განზრახულია გამოყენებულ იქნას ყველაზე მსხვილ ბოროტმოქმედებათა და ავანტურებისათვის. ინგლისელები წინასწარ ტრაბახობენ, რომ აეროდრომზე იქნება 7 დასაშვები მოედანი, რომელთა შორის ყველაზე დიდს სიგრძე 4.500 მეტრი ექნება, ხოლო სიგანე — 185 მეტრი. ისინი დიდის ამბით იტყობინებიან, რომ ჰიდროთვითმფრინავებისათვის გაკეთდება 3.200 მეტრის სიგრძისა და 180 მეტრის სიგანის არხი. მაგრამ... ინგლისელები ერთი სიტყვითაც არ იხსენიებენ შვედი ჟურნალისტების კორესპონდენციებს, რომლებითაც მტკიცდება, რომ საჭირო ხდება ხელახლა დაწყება იმ საამშენებლო სამუშაოებისა, რომელთა დიდი ნაწილი თითქმის დამთავრებული იყო, ვინაიდან „უცნობი ეროვნების თვითმფრინავებმა“ მშენებლობის ადგილზე „სალამის“ სახით ჩამოჰყარეს მრავალტონიანი ბომბები.

გერმანელი ჯარისკაცები ჩრდილოეთის ფრონტზე. ყინულეთის მცხოვრები თეთრი ირმები საუკეთესო მეგობრებს წარმოადგენენ მამაცი მებრძოლებისათვის.

სახუმარო ამბები

უარესი

— შეგიძლიათ ალკოჰოლზე უარესი საშინელება წარმოიდგინოთ? — ეკითხება ერთ ცნობილ კომიკს ალკოჰოლის მოწინააღმდეგე ქალი.

კომიკი მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ უპასუხებს:

— თქვენ გინდათ გაიგოთ რა უფრო უარესია ალკოჰოლზე? — წყურვილი!

საგიჟეთში

საგიჟეთის დირექტორი ეკითხება ერთ გიჟს: „შენ მანდ რას სწერს?“

„მე ჩემს თავს წერილს ვწერ, ბატონო დირექტორო!“

„ეს ძალიან კარგი საქმეა. შიგ რა სწერია?“

„ჯერ არ ვიცი, ბატონო, დირექტორო, ფოსტა მხოლოდ ზეგ მოვა.“

საკუთარი ხელობა

ნაპოლეონის სასახლის მეწაღე ზაკოსკიმ, რომელმაც დიდი ქონება შეიძინა, ერთხელ კონცერტზე იმ დროს განთქმული მუსიკოსის, ვირტეზის დაკვრა მოისმინა. იგი მუსიკოსის ხელოვნებით იმდენად მოვიდა აღტაცებაში, რომ ის სადილად დაჰპატიჟა. სადილის შემდეგ სთხოვა —რამე დაეკვრა, მუსიკოსმაც შეუსრულა სურვილი.

გავიდა რამოდენიმე ხანი. მუსიკოსმა მეწაღე დაჰპატიჟა და კარგადაც დახვდა. როდესაც სადილი დაასრულეს, მუსიკოსმა მას ორი წყვილი დაგლეჯილი ფეხსაცმელი წინ დაუწყო. გაკვირვებული შესცქეროდა მეწაღე მუსიკოსს. ბოლოს ჰკითხა, რას უნდა ნიშნავდეს ეს.

„მე მუსიკოსი ვარ და სადილის შემდეგ თქვენი სურვილისამებრ დაგიკარით. დღეს თქვენ ჩემი სტუმარი ხართ და მინდა გთხოვოთ, ეს წაღები დამიკეროთ. ყველას თავისი ხელობა აქვს!“

დრო მოფიქრებისათვის

ქალი და ვაჟი წყლის ნაპირას დგანან.

ქალი: მითხარი, გენაცვალე, წყალში რომ გადავვარდე, გამომიყვან?

ვაჟი: ორიოდე წუთი მომეცი მოსაფიქრებლად.

კარუზოს პასუხი

ცნობილი იტალიელი მომღერალი კარუზო, თავისი კარიერის დასაწყისში არ სარგებლობდა საზოგადოების დიდი თაყვანისცემით. ერთხელ, პროვინციული თეატრის სცენაზე გამოსვლისას, საზოგადოება მას იმდენად მტრულად განწყობილი შეხვდა, რომ სეტყვასავით დაუშინა ლაყი კვერცხები, პომიდორი და სხვ. სცენაზე აგრეთვე დაეცა ერთი თავი კომბოსტო. კარუზომ კომბოსტო ხელში აიღო და საზოგადოებას მიჰმართა: „ბატონებო! მე იმედი მქონდა, ჩემი სიმღერა თქვენ მოგეწონებოდათ, მაგრამ არ მოველოდი, თუ ის იმდენად აღაფრთოვანებდა ვინმეს, რომ საკუთარი თავი დაეკარგა“.

ზეციდან დაბრუნებული

ერთერთი სწავლული, ვიწრო წრეში, სადაც დიოგენიც იყო, ბევრს, დაწვრილებით ლაპარაკობდა ციურ სამყაროში ცხოვრებაზე.

დიოგენმა მოსწრებულად ჰკითხა: „მითხარი გეთაყვა, როდის დაბრუნდით ზეციდან?“

დაბნეულობა

—ბატონო პროფესორო, თქვენ ხომ გინდოდათ ჩვენთვის ლექცია წაგეკითხათ ტვინის შესახებ?!

—დიახ, დიახ, მართალია, მაგრამ იცით რა, სწორეთ ეხლა თავში სულ სხვა რამ მიტრიალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართობი

ჭადრაკი

ამოცანა № 9

ო. ნემო და ფ. შინდლერი



შამათი სამ სვლაში

თეთრები: მფf3, ეტd7, კუe3 და e4, პპb4 და f2 (6).

შავები: მფe5, მხb2 (2).

ამოცანა № 8 გადაწყვეტა:

1. ლd1 - d4! c5:d4, 2. ეტf6 - f7,
d4-d3 ან მფc6-c5, 3. ეტf7-c7×.
„ „ მფc6-b7, 2. ეტf6-f7+
მფb7-a6, 3. ლd4-a1×.
„ „ მფc6-b7, 2. ეტf6-f7+
მფb7-a8 (b8), 3. ლd4-h8×.
„ „ მფc6-d7, 2. ლd4-g4+
მფc6-d7, 2. ლd4-g4+
„ „ მფc6-d7, 2. ლd4-g4+
მფd7-e8, 3. ლg4-c8×.

ნარევი

ჯიბის საათი უისრებოდ

ხშირია შემთხვევა, როდესაც ჯიბის საათის ისრები ერთმანეთს ედებიან ან სრულიად ვარდებიან, რითაც საათი წყობილებიდან გამოდის. ამ ნაკლის ასაცილებლად ამასწინათ გამოგონებულ იქნა ჯიბის საათი უისრებოდ.

ასეთი საათის ციფერბლატზე მოცემულია ჩვეულებრივი თორმეტი დანაყოფის ნაცვლად — 60, რომლებიც წუთებს აღნიშნავენ. შუაში მოთავსებულია ბადრო მომცრო ნახვრეტებით, რომელშიც ციფრები ამოდიან და საათს აღნიშნავენ. ეს ბადრო მოძრაობს და სრულ ბრუნვას აკეთებს ერთი საათის განმავლობაში. ნახვრეტი, რომელშიც ციფრები ამოდიან, მთავრდება მახვილი ამონაჭერით, რაც წუთების მაჩვენებლის როლს ასრულებს.

თუ ჩვენ ნახვრეტში ციფრს 7 ვხედავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ შვიდი საათია. მახვილი ამონაჭერი, სადაც ციფრი შვიდია მოთავსებული, სდგას 59 წუთის პირდაპირ. ამგვარად, საათი უჩვენებს 7 საათსა და 59 წუთს.

ახალი უისრო საათები მეტად ზუსტი სვლით გამოირჩევიან, მაგრამ მათი მექანიზმი საკმაოდ რთულია და ამიტომ ძვირად ფასობენ. ეხლა უკვე შეუდგნენ მათს სერიულ წარმოებას. მალე ასეთი საათები ყველასათვის ადვილი მისაწვდომი გახდება.

18 წელი უჭმელად

ზოგიერთ მწერებს ძალიან დიდი ხნით შეუძლიათ გასძლონ უჭმელად. ამმხრივ რეკორდს ამყარებს ხის ტკიპა. ერთი ბიოლოგი 18 წლის განმავლობაში აკვირდებოდა ხის ტკიპას, არ აძლევდა რა არავითარ საკვებს.

ხის ტკიპას უნარი, იშიმშილოს ასე დიდი ხნით, გამოწვეულია მისი ცხოვრების პირობებით. ჩვეულებრივად ის ცხოვრობს ხის ტოტებში და მხოლოდ იშვიათად ეძლევა საშუალება მიეკრას ადამიანს ან ცხოველს და დაიწყოს თავისი მხხვერპლის სისხლის წოვა.

შეამოწმე შენი ცოდნა

1. რომელი ცნობილი ვარსკვლავი შედის პატარა დათვის თანავარსკვლავედში?
2. რომელ წელს და ვისი უშუალო დახმარებით მოაწყო ქრისტეფორე კოლუმბმა თავისი პირველი მოგზაურობა?
3. სად და რომელია ყველაზე უძველესი ბიბლიოთეკა დედამიწის ზურგზე?
4. ვინ იყო პირველი მწერალი, რომელმაც აღწერა ჯერკიდევ გამოუგონებელი წყალქვეშა ნავი?
5. სად და რა პირობებში გარდაიცვალა ნაპოლეონი?

საჭადრაკო დაფასთან

დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება მეორე ისეთი გონიერი გასართობი, როგორც ჭადრაკია. იგი არამარტო სათამაშოა, არამედ სპორტი, ხელოვნება და საუკეთესო სამხედრო საქმეც არის. ბრძოლა საჭადრაკო დაფაზე იტაცებს ადამიანს. თამაშის დროს იგი განიცდის დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას და მღელვარებას.

ჭადრაკის დიდი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ის ხელს უწყობს ჩამოაყალიბოს ადამიანის ხასიათის სიმტკიცე და გამოიმუშავოს ადამიანში მეტად მნიშვნელოვანი თვისებები: სურვილი, მისწრაფება და რწმენა გამარჯვებაში, გამძლეობა და კრიტიკულ მომენტში სულიერი სიმტკიცის შენარჩუნება. ცხადია, ასეთი თვისებების მატარებელი ადამიანი ცხოვრებაში ყოველთვის გამარჯვებული იქნება და ჩაითვლება დადებით ტიპად.

ამიტომ, გასაგებია, რომ ჭადრაკი ფართო მასებში უდიდესი ყურადღებითა და ინტერესით სარგებლობს.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ჭადრაკით გატაცებული იყვნენ დიდი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი. ზოგიერთი მათგანის ნათამაშევი პარტიების ჩანაწერებმა დღემდე მოაღწიეს. მათი გარჩევით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარსულში ჭადრაკი დიდი ყურადღებით სარგებლობდა (მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ნაპოლეონის ცნობილი პარტიები).

ჭადრაკის წარმოშობის ისტორია მეტად ხანგრძლივია. დანამდვილებით არავინ იცის, როდის და ვინ გამოიგონა იგი. ამის შესახებ მრავალი სხვადასხვა აზრი არსებობს. ერთი ვერსია, რომელიც ყველაზე მართებულად უნდა ჩაითვალოს, შემდეგნაირად აგვიწერს ჭადრაკის წარმოშობის ისტორიას:

ინდოეთის ერთერთი ტომის მეფე თავის ქვეშევრდომთა მიმართ მეტად სასტიკი იყო. ის ხალხს ავიწროვებდა და უმნიშვნელო დანაშაულისათვის სიკვდილით სჯიდა.

მეფეს ერთი ჭკვიანი და გამოცდილი ვეზირი ჰყავდა, რომელსაც ხალხის ბედი ძლიერ აწუხებდა. მან მრავალჯერ მოინდომა მიეცა რჩევა მეფისათვის, მაგრამ ვერ ბედავდა, ეშინოდა, რომ მეფე მასაც სიკვდილით დასჯიდა.

დრო გადიოდა. მრისხანე მეფე აბსოლუტურ ბატონობას განაგრძობდა და ყოველდღიურად, მიზეზით თუ უმიზეზოდ, შეუბრალებლად სჯიდა სიკვდილით თავის ქვეშევრდომებს. ვეზირმა გადასწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გონს მოეყვანა მრისხანე მეფე და ხალხი დაეხსნა ამ მდგომარეობიდან. ბევრი ფიქრისა და ცდების შემდეგ, მან გამოიგონა სათამაშო, რომელსაც „ჩატურანგა“ ანუ ჩვენებურად ჭადრაკი უწოდა. ერთხელ, როდესაც მეფე დიდ მოწყენილობას განიცდიდა, გართობის მიზნით ვეზირმა მას ჭადრაკი უჩვენა და თამაში ასწავლა. მეფე მეტად დაინტერესდა ახალი თამაშით, ყოველთვის სიამოვნებით თამაშობდა და ჭადრაკის ხელოვნებას კარგადაც დაეუფლა. ერთერთი თამაშის დროს, როდესაც დაფაზე მხოლოდ მეფის ფიგურა დარჩა, მან ნაღვლიანად წამოიძახა: „თურმე რა უმოწყალო და უძლური ყოფილა მარტო დარჩენილი მეფეო. ვეზირიც ამას მოელოდა, მეფის ნათქვამი საუკეთესოდ გამოიყენა და მას შემდეგი სიტყვებით მიჰმართა: „უძლიერესო მეფევ, თქვენი ნათქვამი სრული ჭეშმარიტებაა; მარტო მეფე, როგორც საჭადრაკო დაფაზე, ისე ცხოვრებაში, უძლურია, თუ ხალხი და დამხმარე ძალა არა ჰყავს. თქვენ კი თქვენს ხალხს სასტიკად ეპყრობით და სიკვდილით სჯით, არ გეშინიათ, რომ თქვენი ასეთი მოქმედება თქვენს დაუძლურებას გამოიწვევს, მოწინააღმდეგე კი ამას მომავალში გამოიყენებს“... მეფე დაფიქრდა და თავის დანაშაულს მიხვდა. ამის შემდეგ მან ხასიათი შეიცვალა. ხალხის ბედს დამოუკიდებლად აღარ სწყვეტდა და რჩევას ჭკვიან ვეზირს ეკითხებოდა. ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, გამხიარულდა და თავის მეფეს ლოცვა-კურთხევით იხსენიებდა.

კმაყოფილებით აღსავსე მეფემ მოისურვა ვეზირის დაჯილდოვება. მოიწვია იგი და შეეკითხა, თუ რა სურდა მას ჯილდოდ. ვეზირმა ასე უპასუხა: ბევრს არ მოვითხოვ, უბრძანე მხოლოდ, რომ საჭადრაკო დაფის პირველ კვადრატზე დასდონ პურის ერთი მარცვალი, მეორეზე ორჯერ მეტი, ე. ი. ორი მარცვალი, მესამეზე ორჯერ მეტი, ვინემ მეორეზე, ე. ი. ოთხი, მეოთხეზე კიდევ ორჯერ მეტი, ვინემ მესამეზე, ე. ი. 8 და ასე შემდეგ. რაც უკანასკნელ მესამოცდაოთხე კვადრატზე იქნება საჭირო, ის მომეცითო. მეფე სიხარულით დასთანხმდა „უბრალო“ თხოვნას, მაგრამ, როდესაც შესრულებას შეუდგნენ, გამოირკვა, რომ მთელს მის სამფლობელოში არ მოიპოვებოდა პურის მარცვლის ის რაოდენობა, რომელიც საჭირო იყო მესამოცდაოთხე კვადრატზე დასაწყობად. ვეზირს, ცხადია ჯილდო არ აუღია, მაგრამ მან თავის მიზანს მიაღწია. ჭადრაკის საშუალებით მრავალი ადამიანი იხსნა სიკვდილისაგან და შეუქმნა მათ კეთილი ცხოვრება.

ინდოეთიდან ჭადრაკი სპარსეთში გავრცელდა, საიდანაც მან განვითარება ჰპოვა მაშინდელი არაბეთის თვალუწვდენელ მიდამოებზე, მიაღწია ჩრდილოეთი აფრიკის სანაპიროებს და შემდეგ ერთერთი საპატიო ადგილი დაიკავა ესპანეთის მცხოვრებთა შორის. აქედან დაიწყო ჭადრაკის გავრცელება ევროპაში.

სრულიად არ არის საჭირო იმის ძიება, თუ საიდან შემოვიდა ჭადრაკი საქართველოში. ზემოთაღნიშნულის შემდეგ, საკმარისია ოდნავ თვალი გადავავლოთ ჩვენი სამშობლოს ისტორიას, რომ დარწმუნებით ვთქვათ: ჭადრაკი საქართველოში სპარსეთიდან შემოვიდა. თუ ვინ და როდის შემოიტანა იგი ჩვენში, რათქმა უნდა, ძალიან საინტერესოა, მაგრამ ასევე ძნელი სათქმელია. ერთი კი ცხადია, რომ ჭადრაკმა, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, ჩვენშიც დიდი გამოხმაურება ჰპოვა და მრავალი მოხალისე მიიზიდა.

ჩვენამდე მოაღწია სამეგრელოს მთავრის დადიანის ნათამაშევმა პარტიებმა, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს განვითარებული, თანამედროვე საჭადრაკო ტექნიკით შეიარაღებული მოთამაშეები. კარგ მოთამაშედ ითვლებოდა აგრეთვე ჩვენი დიდებული პოეტის აკაკი წერეთლის მამა და მრავალი სხვანი, რომელთა სახელები სხვა მხრივ უფრო ცნობილია (მაგ. ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე...)

დასასრული იქნება

პასუხისმგებელი რედაქტორი
ლ. ლინი
რედაქციის მისამართი
Georgische Zeitung „Sakarthwelo“.
Berlin W 7, Dorotheenstraße 64

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა